საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2012 წლის 16 მარტის
დადგენილება № 625

ბიზნეს – ინჟინერინგის ფაკულტეტის
მილევად რეჟიმში მოქმედი
ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში
„ჟურნალისტიკა“ ცვლილებების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

ბიზნეს – ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის ფუნქციის შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე:

1. შევიდეს ცვლილებები მილევად რეჟიმში მოქმედი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში „ჟურნალისტიკა“, კერძოდ:

   ა) სასწავლო კურსში „რეკლამის თეორია და პრაქტიკა“ ნაცვლად 30 სთ. ლექციისა და 30 სთ. სემინარისა იქნეს 30 სთ. ლექცია და 15 სთ. სემინარი.

   ბ) სასწავლო კურსში „ვიზუალური ჟურნალისტიკა“ ნაცვლად 30 სთ. ლექციისა და 30 სთ. სემინარისა იქნეს 15 სთ. ლექცია და 15 სთ. სემინარი.

   გ) გამოთავისუფლებული 3 კრედიტის ხარჯზე, მეექვსე სასწავლო სემესტრს, დაემატოს ახალი სასწავლო კურსი „საარჩევნო სამართალი“ 15 სთ. ლექცია და 15 სთ. სემინარი.

2. შევიდეს ცვლილებები მილევად რეჟიმში მოქმედ ბაკალავრიატის დამატებით (minor) საგანმანათლებლო პროგრამაში „ბიზნესის სამართალი“, კერძოდ:

   ა) გაუქმდეს-5 კრედიტიანი სასწავლო კურსი „საბაჟო სამართალი“ და გამოთავისუფლებული 5 კრედიტი დაემატოს სასწავლო კურსს „საგადასახადო სამართლის საფუძვლები“, 30 სთ. ლექცია და 30 სთ. სემინარი.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე